MED EL

გაკვეთილების კრებული

01 ჩემი სახლი



გაეცანით გაკვეთილების გეგმას

გაკვეთილების კრებული

პირველი დონე, მეორე დონე, მესამე დონე

1. ააშენე სახლი

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

2. ვინ არის სახლში?

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

3. სად უნდა იყოს?

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

4. ჩემი სახლი

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

ჩვენ გვსურს, რომ ეს ნაკრები რაც შეიძლება მეტ ადამიანს დაეხმაროს, ამიტომ თემატური გაკვეთილის ნაკრები შეიძლება ღიად გაზიარდეს შესაბამისი გამოყენებისთვის. თუმცა, MED-EL ინარჩუნებს სრულ უფლებას მასალაზე, ამიტომ შინაარსი არ შეიძლება შეიცვალოს, რემარკირდეს ან გადაკეთდეს კომერციული გამოყენებისთვის.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

გაეცანით გაკვეთილების გეგმას

- აჩვენებს მოსმენის მიზნებს
- აჩვენებს სალაპარაკო ენის მიზნებს
- აჩვენებს შემეცნების უნარისა და გონების თეორიის მიზნებს

როგორ ავირჩიოთ დონე

პირველი დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის ერთი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა ბავშვს ეძლევა მარტივი მოკლე წინადადებებით და გამოიყენება აკუსტიკური აქცენტირების ტექნიკა, რომლის საშუალებითაც ბავშვს შეუძლია აითვისოს ახალი ინფორმაცია.	ბავშვი იყენებს ცალკეულ სიტყვებს, აქვს 200-მდე სიტყვის მარაგი და შესაძლოა დაიწყოს ორსიტყვიანი კომბინაციის გამოყენება.	შემეცნების უნარი ნიშნავს იმას, თუ როგორ ვსწავლობთ, ვიძენთ ცოდნას და ვიგებთ ჩვენი სამყაროს შესახებ. გონების თეორია (ToM) არის აზროვნების უნარი, რომელსაც ჩვენ დროთა განმავლობაში ვანვითარებთ ჩვენი და სხვა ადამიანების ქცევის ახსნისა და პროგნოზირების მიზნით. შემეცნებისა და გონების თეორიის უნარები განვითარებადია. ისინი ბავშვის ზრდასთან ერთად ვითარდებიან, თუმცა ბევრ შემეცნებით, გონების თეორიისა და ენის უნარებს შორის ურთიერთკავშირი კომპექსურია, რომელთაგანაც თითოეული მათგანი, ბავშვის სიცოცხლის პირველ წლებში, რაღაც დონეზე ხელს უწყობს ერთმანეთის განვითარებას. პირველ დონეზე მყოფ მოზრდილ ბავშვებს შესაძლებელია უკვე ჰქონდეთ მეტი შემეცნებითი და გონების თეორიის უნარები და საკუთარი თავის გამოხატვისთვის უფრო მეტად ესაჭიროებოდეთ სალაპარაკო ენის ცოდნა. და პირიქით, მესამე დონეზე მყოფი მცირეწლოვანი ბავშვები განვითარების კუთხით შესაძლებელია არ იყვნენ მზად გონების თეორიის ზოგიერთი მიზნის გააზრებისთვის.
მეორე დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის ორი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია უფრო გრძელი წინადადებებით, ხოლო აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები გამოიყენება ბავშვის წასახალისებლად, რომ აითვისოს წინადადებაში მოცემული ყველა ინფორმაცია.	ბავშვი წარმოთქვამს 2-3 სიტყვის კომბინაციას, აქვს 200-დან 2000-მდე სიტყვის მარაგი და იწყებს გრამატიკული მარკერების გამოყენებას.	
მესამე დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის სამი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია სხვადასხვა რთული წინადადებებით, ხოლო აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები გამოიყენება ბავშვის წასახალისებლად, რომ აითვისოს წინადადებაში არსებული გრამატიკული ელემენტები.	ბავშვი წარმოთქვამს 4-5 სიტყვისგან შემდგარ წინადადებებს და შეკითხვებს, აქვს 2000-ზე მეტი სიტყვის მარაგი და იყენებს სხვადასხვა გრამატიკულ მარკერებს.	

თემა: დონე

თემები წარმოდგენილია როგორც მაკრო თემა (ფართო ზოგადი საკითხი, მაგალითად: ცხოველები), რომელსაც მოსდევს დაკავშირებული მიკრო თემა (ვიწრო დაკავშირებული ქვე-თემა), რათა დაეხმაროს ბავშვს, რომ ააწყოს კავშირები სიტყვებს შორის, რაც ამარტივებს სიტყვების დამახსოვრებას.

დაადოკუმენტირეთ ბავშვის რეაქცია გამოვლენის ან მიბაძვის შესახებ.

თითო გაკვეთილის გეგმას აქვს 4 აქტივობა

თითოეულ აქტივობას აქვს რესურსები, რომელიც უნდა ჩამოტვირთოთ და ამობეჭდოთ, ან თუ ელექტრონული სახით არის, შეინახეთ კომპიუტერში ან ტაბლეტში.

რესურსები ადვილად იძებნება ფაილის სახელწოდებით:
თემა - დონე (დ) აქტივობა (ა)
მაგალითად: ცხოველები - დ1 დ2 ა2 = საჭირო რესურსებია - ცხოველების თემა - პირველი დონე და მეორე დონე მეორე აქტივობა

ჩემი სახლი: პირველი დონე თერაპევტის ჩანაწერები

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

ააშენე სახლი **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა1	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · სახლის ნაწილები • იგებს რამდენიმე თანდებულს: წინ/უკან	• აკეთებს სახლის ნაწილების აღნიშვნას • იყენებს ზმნებს: დაჭრა/ დაწებება/დაკეცვა	• ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს
ვინ არის სახლში? **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა2	• ითვისებს ერთ საგანს: · ადამიანი · ადგილი · ზმნა	• იმეორებს ან აკეთებს ერთი სიტყვის აღნიშვნას; · ადამიანი · ადგილი · ზმნა	• ესმის "იგივეს" და "არ არის იგივე"მნიშვნელობა
სად უნდა იყოს? **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა3	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · საგანი · ადგილი	• კატეგორიების ფარგლებში აერთიანებს სიტყვებს; ნივთები სახლში/ ადგილები სახლში	• ესმის კავშირი საგანსა და ადგილს შორის
ჩემი სახლი **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა4	• ითვისებს ზმნებს: დაჭრა, დაკეცვა, დაჭერა, მიწოლა, დათვლა • ითვისებს წიგნს	• ცდილობს გაიმეოროს ერთი სიტყვა ყოველი გვერიდან	• უერთდება საუბარს საკუთარ სახლთან დაკავშირებით

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2017

თემა: დონე	ჩემი სახლი: პირველი დონე თერაპევტის ჩანაწერები
აქტივობის დასახელება	1. ააშენე სახლი
რისი გაკეთებაა საჭირო გაკვეთილის წინ	**მომზადება** ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე. თქვენ აპირებთ მუყაოს ყუთისგან სახლის გაკეთებას.
ნაბიჯ - ნაბიჯ მთელი აქტივობის განმავლობაში	1. ამოჭერით ფანჯრები, ფარდები, კარები და საკვამური. (წაახალისეთ ბავშვი, რომ დაგეხმაროთ სადაც შესაძლებელია.) 2. შეხედეთ მუყაოს ყუთს და გადაწყვიტეთ, რომელი მხარე იქნება წინა. 3. გადაწყვიტეთ, ყვითელი თუ ცისფერი კარი იქნება წინა მხარეს და მიაწებეთ. 4. მიაწებეთ მეორე კარი უკანა მხარეს. 5. გამოიყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ კარის 3 მხარე ისე, რომ ისინი იხსნებოდეს. 6. მიაწებეთ თითო ფანჯარა ყველა მხარეს. 7. გამოყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ ყველა ფანჯარა შუაში, ზედა და ქვედა მხარეს ისე, რომ იხსნებოდეს. 8. მიაწებეთ ფარდები ყუთის შიგნით, ფანჯრის გახსნის ზედა მხარეს. 9. ააწყეთ საკვამური ნაკეცების რიგის მიხედვით, 1, 2, 3 და წებოთი შეკარით ძირი. 10. მიაწებეთ საკვამური ყუთის თავზე.
მიზანი გაკვეთილის გეგმიდან: უნარის მაგალითი	**მოსალოდნელი შედეგები** • ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: სახლის ნაწილები: კარი, ფანჯარა, ფარდა, საკვამური. • იგებს რამდენიმე თანდებულს: წინ/უკან.
მოსმენის ძირითადი სტრატეგია ან მეთოდი, რომელიც გამოიყენება ბავშვის მიზნის მისაღწევად.	**ძირითადი სტრატეგიები** ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ისაუბრეთ სახლის ნაწილებზე მათი დაჭრისას, ასევე როდესაც გადაწყვეტილებას იღებთ, თუ რომელი ნაწილი გააკეთოთ თავდაპირველად, როდესაც მათ აკრავთ და ბოლოს კიდევ ერთხელ, როდესაც აღფრთოვანდებით თქვენი დასრულებული სახლით. აკუსტიკური აქცენტირება: პირველ დონეზე მყოფ ბავშვისთან საუბრის დროს გამოყავით ინფორმაციის ერთი ერთეული. წარმოთქვით ეს ერთეული ოდნავ ხმამაღლა ან გააკეთეთ პაუზა საუბრის წინ. ჰმმ... ჩვენ შეგვიძლია დავაყენოთ ეს ცისფერი კარი ... წინ. (შემოატრიალეთ ყუთი) ან შეიძლება დავაყენოთ ეს ცისფერი კარი... უკან.
	მოსალოდნელი შედეგები • იყენებს ზმნებს: დაჭრა/დაწებება/დაკეცვა. • აკეთებს სახლის ნაწილების აღნიშვნას; მაგალითად: კარი, ფანჯარა, ფარდა, საკვამური.
	ძირითადი სტრატეგიები ფიქრის იგივე ადგილი: როდესაც წაახალისებთ ბავშს, რომ შემოგიერთდეთ აწყობაში, დაუმატეთ ზმნებს აკუსტიკური აქცენტირებები, შეძლებისდაგვარად ჩასვით ზმნები წინადადების ბოლოში, რათა მისცეთ პირველი დონეზე მყოფ ბავშვს საშუალება, რომ აითვისოს და გაიმეოროს ის. ზუსტად აქ, ამ ხაზზე უნდა გაჭრა. გამოიყენე წებო, რომ დააწებო. გამოიყენეთ ვარიანტები: პასუხის ვარიანტებიან შეკითხვაში სახლის ნაწილების ლექსიკონის გამოყენება უყალიბებს ბავშვს ლექსიკონის მოდელს მათ უშუალო წამორთქვამდე. ეს უფრო ადვილია, ვიდრე უცნობი სიტყვების გახსენება. რა გავაკეთოთ ფანჯარა თუ კარი?
	მოსალოდნელი შედეგები • ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს.
	ძირითადი სტრატეგია საბოტაჟი: დადგით ყუთი სხვა კუთხიდან ისე, რომ ბავშვის მშობელმა/აღმზრდელმა ვერ დაინახოს ნაწილი, რომელიც ეს ესაა დაწებეთ. წააქეზეთ მშობელი/აღმზრდელი თქვას, რომ ის ვერ ხედავს. ამით დაეხმარებით ბავშვს გააცნობიეროს, რომ ყველას არ აქვს წვდომა ერთ და იგივე ინფორმაციაზე. ოჰ, მე ვერ ვხედავ ფანჯარას. მინდა დავინახო ფანჯარა. შეგიძლია მაჩვენო ფანჯარა? მოატრიალე ყუთი, რომ დავინახო.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2017

ჩემი სახლი: პირველი დონე თერაპევტის ჩანაწერები

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

ააშენე სახლი **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა1	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · სახლის ნაწილები • იგებს რამდენიმე თანდებულს: წინ/უკან	• აკეთებს სახლის ნაწილების აღნიშვნას • იყენებს ზმნებს: დაჭრა/ დაწებება/დაკეცვა	• ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს
ვინ არის სახლში? **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა2	• ითვისებს ერთ საგანს: · ადამიანი · ადგილი · ზმნა	• იმეორებს ან აკეთებს ერთი სიტყვის აღნიშვნას; · ადამიანი · ადგილი · ზმნა	• ესმის "იგივეს" და "არ არის იგივე"მნიშვნელობა
სად უნდა იყოს? **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა3	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · საგანი · ადგილი	• კატეგორიების ფარგლებში აერთიანებს სიტყვებს; ნივთები სახლში/ ადგილები სახლში	• ესმის კავშირი საგანსა და ადგილს შორის
ჩემი სახლი **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა4	• ითვისებს ზმნებს: დაჭრა, დაკეცვა, დაჭერა, მიწოლა, დათვლა • ითვისებს წიგნს	• ცდილობს გაიმეოროს ერთი სიტყვა ყოველი გვერიდან	• უერთდება საუბარს საკუთარ სახლთან დაკავშირებით

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ჩემი სახლი: მეორე დონე გაკვეთილის გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

ააშენე სახლი **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა1	• ახდენს ორი საგნის იდენტიფიცირებას: · სახლის ნაწილები • იგებს თანდებულებს: წინ/უკან/გვერდით/ზევით/შიგნით/გარეთ	• აერთიანებს ზნას + საგანს • იყენებს თანდებულებს	• ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს
ვინ არის სახლში? **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა2	• ითვისებს ორ საგანს: · ადამიანი + ადგილი	• იმეორებს ან ამბობს 2 – 3 სიტყვას; · ადამიანი + ადგილი · ადგილი + თანდებული · ადამიანი + ადგილი + თანდებული	• ესმის, რომ დანახვა ან ინფორმაციის მოსმენა = ცოდნას
სად უნდა იყოს? **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა3	• ახდენს იმ ადგილის იდენტიფიცირებას სადაც უნდა დადგეს საგანი	• აერთიანებს სიტყვებს კავშირებზე სასაუბროდ	• ესმის კავშირი საგანსა და ადგილს შორის
ჩემი სახლი **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა4	• ითვისებს ზმნას + საგანს • ითვისებს წიგნს • ფურცლავს გვერდს, როდესაც მიიღებს მითითებებს.	• ცდილობს გაიმეოროს 2-3 სიტყვა თითო გვერდიდან	• უერთდება საუბარს საკუთარ სახლთან დაკავშირებით.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ჩემი სახლი: მეორე დონე გაკვეთილის გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

ააშენე სახლი **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა1	• ახდენს სახლის ნაწილების იდენტიფიცირებას მისი დანიშნულების აღწერიდან • ხვდება რიგობით სიტყვებს; პირველი, მეორე, მომდევნო, მანამდე, შემდეგ, ბოლო	• იყენებს კონკრეტულ ზმნებს • იყენებს მომავლის/ აწმყოს/წარსულის დროებს	• აკეთებს პროგნოზებს იმის შესახებ, თუ რისი დანახვა შეუძლია ადამიანს სხვადასხვა კუთხიდან
ვინ არის სახლში? **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა2	• ითვისებს სამ საგანს: · ადამიანი + ზმნა + · ადგილი	• ადგენს წინადადებას: · ადამიანი + ზმნა + თანდებულიანი ფრაზა	• მსჯელობს სცენარში მოყვანილი ადამიანების ემოციებზე
სად უნდა იყოს? **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა3	• ახდენს საგნის იდენტიფიცრებას მისი დანიშნულების აღწერიდან	• აღწერს ორ სიტყვას შორის არსებულ ურთიერთკავშირს	• ახდენს პიროვნების მოქმედების პროგნოზირებას, პიროვნების ცრუ განზრახვების საფუძველზე
ჩემი სახლი **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა4	• მიჰყვება რთულ ინსტრუქციებს • ითვისებს წიგნს და პასუხობს კითხვებს	• ცდილობს გაიმეოროს 5-6 სიტყვა თითო გვერდიდან • იყენებს თანდებულებს: -თვის	• უერთდება საუბარს საკუთარ სახლთან დაკავშირებით

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. ააშენე სახლი

რესურსები

- მუყაოს ყუთი
- ჩემი სახლი - დ1 დ2 დ3 ა1
- წებო და მაკრატელი
- საკანცელარიო დანა

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე.

თქვენ აპირებთ მუყაოს ყუთისგან სახლის გაკეთებას.

1. ამოჭერით ფანჯრები, ფარდები, კარები და საკვამური. (წაახალისეთ ბავშვი, რომ დაგეხმაროთ სადაც შესაძლებელია.)
2. შეხედეთ მუყაოს ყუთს და გადაწყვიტეთ, რომელი მხარე იქნება წინა.
3. გადაწყვიტეთ, ყვითელი თუ ცისფერი კარი იქნება წინა მხარეს და მიაწებეთ.
4. მიაწებეთ მეორე კარი უკანა მხარეს.
5. გამოიყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ კარის 3 მხარე ისე, რომ ისინი იხსნებოდეს.
6. მიაწებეთ თითო ფანჯარა ყველა მხარეს.
7. გამოყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ ყველა ფანჯარა შუაში, ზედა და ქვედა მხარეს ისე, რომ იხსნებოდეს.
8. მიაწებეთ ფარდები ყუთის შიგნით, ფანჯრის გახსნის ზედა მხარეს.
9. ააწყეთ საკვამური ნაკეცების რიგის მიხედვით, 1, 2, 3 და წებოთი შეკარით ძირი.
10. მიაწებეთ საკვამური ყუთის თავზე.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: სახლის ნაწილები: კარი, ფანჯარა, ფარდა, საკვამური.
- იგებს რამდენიმე თანდებულს: წინ/უკან.

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ისაუბრეთ სახლის ნაწილებზე მათი დაჭრისას, ასევე როდესაც გადაწყვეტილებას იღებთ, თუ რომელი ნაწილი გააკეთოთ თავდაპირველად, როდესაც მათ აკრავთ და ბოლოს კიდევ ერთხელ, როდესაც აღფრთოვანდებით თქვენი დასრულებული სახლით.

აკუსტიკური აქცენტირება: პირველ დონეზე მყოფ ბავშვისთან საუბრის დროს გამოყავით ინფორმაციის ერთი ერთეული. წარმოთქვით ეს ერთეული ოდნავ ხმამაღლა ან გააკეთეთ პაუზა საუბრის წინ. ჰმმ... ჩვენ შეგვიძლია დავაყენოთ ეს ცისფერი კარი … წინ. (შემოატრიალეთ ყუთი) ან შეიძლება დავაყენოთ ეს ცისფერი კარი… უკან.

მოსალოდნელი შედეგები

- იყენებს ზმნებს: დაჭრა/დაწებება/დაკეცვა.
- აკეთებს სახლის ნაწილების აღნიშვნას; მაგალითად: კარი, ფანჯარა, ფარდა, საკვამური.

ძირითადი სტრატეგიები

ფიქრის იგივე ადგილი: როდესაც წაახალისებთ ბავშს, რომ შემოგიერთდეთ აწყობაში, დაუმატეთ ზმნებს აკუსტიკური აქცენტირებები, შეძლებისდაგვარად ჩასვით ზმნები წინადადების ბოლოში, რათა მისცეთ პირველი დონეზე მყოფ ბავშვს საშუალება, რომ აითვისოს და გაიმეოროს ის. ზუსტად აქ, ამ ხაზზე უნდა გაჭრა. გამოიყენე წებო, რომ დააწებო.

გამოიყენეთ ვარიანტები: პასუხის ვარიანტებიან შეკითხვაში სახლის ნაწილების ლექსიკონის გამოყენება უყალიბებს ბავშვს ლექსიკონის მოდელს მათ უშუალო წამორთქვამდე. ეს უფრო ადვილია, ვიდრე უცნობი სიტყვების გახსენება. რა გავაკეთოთ ფანჯარა თუ კარი?

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს.

ძირითადი სტრატეგია

საბოტაჟი: დადგით ყუთი სხვა კუთხიდან ისე, რომ ბავშვის მშობელმა/აღმზრდელმა ვერ დაინახოს ნაწილი, რომელიც ეს ესაა დაწებეთ. წააქეზეთ მშობელი/აღმზრდელი თქვას, რომ ის ვერ ხედავს. ამით დაეხმარებით ბავშვს გააცნობიეროს, რომ ყველას არ აქვს წვდომა ერთ და იგივე ინფორმაციაზე. ოჰ, მე ვერ ვხედავ ფანჯარას. მინდა დავინახო ფანჯარა. შეგიძლია მაჩვენო ფანჯარა? მოატრიალე ყუთი, რომ დავინახო.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. ააშენე სახლი

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე.

თქვენ აპირებთ მუყაოს ყუთისგან სახლის გაკეთებას.

1. ამოჭერით ფანჯრები, ფარდები, კარები და საკვამური. (წაახალისეთ ბავშვი, რომ დაგეხმაროთ სადაც შესაძლებელია.)
2. შეხედეთ მუყაოს ყუთს და გადაწყვიტეთ, რომელი მხარე იქნება წინა.
3. გადაწყვიტეთ, ყვითელი თუ ცისფერი კარი იქნება წინა მხარეს და მიაწებეთ.
4. მიაწებეთ მეორე კარი უკანა მხარეს.
5. გამოიყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ კარის 3 მხარე ისე, რომ ისინი იხსნებოდეს.
6. მიაწებეთ თითო ფანჯარა ყველა მხარეს.
7. გამოყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ ყველა ფანჯარა შუაში, ზედა და ქვედა მხარეს ისე, რომ იხსნებოდეს.
8. მიაწებეთ ფარდები ყუთის შიგნით, ფანჯრის გახსნის ზედა მხარეს.
9. ააწყეთ საკვამური ნაკეცების რიგის მიხედვით, 1, 2, 3 და წებოთი შეკარით ძირი.
10. მიაწებეთ საკვამური ყუთის თავზე.

რესურსები

- მუყაოს ყუთი
- ჩემი სახლი - დ1 დ2 დ3 ა1
- წებო და მაკრატელი
- საკანცელარიო დანა

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ორი საგნის იდენტიფიცირებას: სახლის ნაწილები: კარი და საკვამური.
- იგებს თანდებულებს: წინ/უკან/გვერდით/ზევით/შიგნით/გარეთ.

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ისაუბრეთ სახლის ნაწილებზე მათი დაჭრისას, ასევე როდესაც გადაწყვეტილებას იღებთ, თუ რომელი ნაწილი გააკეთოთ თავდაპირველად, როდესაც მათ აკრავთ და ბოლოს კიდევ ერთხელ, როდესაც აღფრთოვანდებით თქვენი დასრულებული სახლით.

აკუსტიკური აქცენტირება: მეორე დონეზე მყოფ ბავშვისთან საუბრის დროს გამოყავით ინფორმაციის ორი ერთეული. წარმოთქვით ეს ერთეული ოდნავ ხმამაღლა ან ცოტა ნელა. ჰმმ, ჩვენ გვაქვს კარები და საკვამური. რომელი გინდა, ყვითელი თუ ცისფერი კარი? ჩვენ შეგვიძლია ის დავაყენოთ წინ ან უკან.

მოსალოდნელი შედეგები

- აერთიანებს ზმნას + საგანს; მაგალითად, გამოჭერი კარი/დააწებე ფანჯარა.
- იყენებს თანდებულებს; მაგალითად, წინ/უკან.

ძირითადი სტრატეგიები

ფიქრის იგივე ადგილი: მას შემდეგ, რაც ბავშვს წაახალისებთ, რომ შემოუერთდეს აწყობას, დაუმატეთ აკუსტიკური აქცენტირება ზმნების და საგნების კომბინაციებს. თუ ბავშვი მხოლოდ საგნებს იმეორებს, ეცადეთ ჩასვათ ზმნა წინადადების ბოლოში, რათა მიეცეს ბავშვს მათი ათვისების შესაძლებლობა და შემდეგ კიდევ ერთხელ წარმოთქვით ზმნასთან ერთად ჩვეულებრივი თანმიმდევრობით. კარგი, ახლა დაკეცე ესსაკვამური. ზუსტად აქ უნდა დაკეცო. აი ასე, დაკეცე ესსაკვამური.

გამოიყენეთ ვარიანტები: პასუხის ვარიანტებიან შეკითხვაში სახლის ნაწილების ლექსიკონის გამოყენება უყალიბებს ბავშვს ლექსიკონის მოდელს მათ უშუალო წამორთქვამდე. იმისათვის, რომ ბავშვი წაახალისოთ, გამოიყენოს 2-დან 3 სიტყვამდე, ჩამოაყალიბეთ პასუხის ვარიანტებიანი შეკითხვა 2-3 სიტყვის გამოყენებით. სად დავაკრათ ეს, წინ თუ უკან?

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს.

ძირითადი სტრატეგია

საბოტაჟი: დადგით ყუთი სხვა კუთხიდან ისე, რომ ბავშვის მშობელმა/აღმზრდელმა ვერ დაინახოს ნაწილი, რომელიც ეს ესაა დაწებეთ. წააქეზეთ მშობელი/აღმზრდელი თქვას, რომ ის ვერ ხედავს. ამით დაეხმარებით ბავშვს გააცნობიეროს, რომ ყველას არ აქვს წვდომა ერთ და იგივე ინფორმაციაზე. ოჰ, მე ვერ ვხედავ ფანჯარას. მინდა დავინახო ფანჯარა. შეგიძლია მაჩვენო ფანჯარა? მოატრიალე ყუთი, რომ დავინახო.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. ააშენე სახლი

რესურსები

- მუყაოს ყუთი
- ჩემი სახლი - დ1 დ2 დ3 ა1
- წებო და მაკრატელი
- საკანცელარიო დანა

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე.

თქვენ აპირებთ მუყაოს ყუთისგან სახლის გაკეთებას.

1. ამოჭერით ფანჯრები, ფარდები, კარები და საკვამური. (წაახალისეთ ბავშვი, რომ დაგეხმაროთ სადაც შესაძლებელია.)
2. შეხედეთ მუყაოს ყუთს და გადაწყვიტეთ, რომელი მხარე იქნება წინა.
3. გადაწყვიტეთ, ყვითელი თუ ცისფერი კარი იქნება წინა მხარეს და მიაწებეთ.
4. მიაწებეთ მეორე კარი უკანა მხარეს.
5. გამოიყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ კარის 3 მხარე ისე, რომ ისინი იხსნებოდეს.
6. მიაწებეთ თითო ფანჯარა ყველა მხარეს.
7. გამოყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ ყველა ფანჯარა შუაში, ზედა და ქვედა მხარეს ისე, რომ იხსნებოდეს.
8. მიაწებეთ ფარდები ყუთის შიგნით, ფანჯრის გახსნის ზედა მხარეს.
9. ააწყეთ საკვამური ნაკეცების რიგის მიხედვით, 1, 2, 3 და წებოთი შეკარით ძირი.
10. მიაწებეთ საკვამური ყუთის თავზე.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს სახლის ნაწილების იდენტიფიცირებას მისი დანიშნულების აღწერიდან.
- ხვდება რიგობით სიტყვებს; პირველი, მეორე, მომდევნო, მანამდე, შემდეგ, ბოლო

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: სახლის ნაწილების ამოჭრისას, ისაუბრეთ მათ დანიშნულებაზე. წაახალისეთ ბავშვი და მისი მშობელი/აღმზრდელი, დაამატონ საკუთარი მოსაზრებები იმის შესახებ, თუ როგორ აღწერონ სახლის ნაწილების დანიშნულება. იდეები შეიძლება განსხვავდებოდეს. ჩვენ ვიყენებთ ფანჯარას იმისთვის, რომ გარეთ გავიხედოთ. ჩვენ ვიყენებთ ფანჯარას იმისთვის, რომ სინათლე შემოვუშვათ. ჩვენ ვიყენებთ ფანჯარას სახლის გასაგრილებლად.

აკუსტიკური აქცენტირება: დაეხმარეთ ბავშვს აითვისოს სიტყვები თანმიმდევრულად, აკუსტიკური აქცენტირების გამოყენებით. მას შემდეგ რაც გადაწყვეტთ ნაწილების თანმიმდევრობას, დაალაგეთ ისინი მარცხნიდან მარჯვნივ სანამ დაიწყებთ დაწებებას. ესე იგი შენ გინდა ჯერ წინა კარის მიწებება. ხოლო შემდეგუკანა კარის. ჩვენ გავაკეთებთ ფანჯრებს კარების შემდეგ ბოლო იქნება საკვამური. საკვამურამდე ჩვენ მივაწებებთ შიგნით ფარდებს.

მოსალოდნელი შედეგები

- იყენებს კონკრეტულ ზმნებს; მაგალითად, დაწებება, დაკვრა, დამაგრება, მოშორება, ჩამოჭრა, გამოსწორება.
- იყენებს ზმნის მომავლის/ აწმყოს / წარსულის დროებს; მიაწებებს (ან აპირებს მიწებებას), აწებებს, მიაწება.

ძირითადი სტრატეგიები

ფიქრის იგივე ადგილი: მას შემდეგ, რაც ბავშვს წაახალისებთ, რომ შემოუერთდეს აწყობას, დაუმატეთ ზმნებს აკუსტიკური აქცენტირება. ბავშვის სიტყვების მარაგის გასამდიდრებლად, ეცადეთ გამოიყენოთ სხვადასახვა ზმნები, მაგალითად თუ ბავშვი უკვე იყენებს ზმნას დაწებება, გამოიყენეთ უფრო რთული სიტყვები, როგორიცაა ჩასმა, მიმაგრება ან შეწებება.

აკუსტიკური აქცენტირება: სახლის აწყობის დროს გააკეთეთ კომენტარი და ხაზი გაუსვით ზმნის დროებს; აჩვენე დედას, როგორ აპირებ კარის მიწებებას. ისწებდება. ყოჩაღ, მიწებებულია.

მოსალოდნელი შედეგები

- აკეთებს პროგნოზებს იმის შესახებ, თუ რისი დანახვა შეუძლია ადამიანს სხვადასხვა კუთხიდან.

ძირითადი სტრატეგია

საბოტაჟი: წაახალისეთ მშობელი/აღმზრდელი და ბავშვი, ისაუბრონ სახლის იმ ნაწილებზე, რომლებსაც ხედავენ და ვერ ხედავენ თავისი პოზიციიდან. შეცვალეთ ყუთის კუთხე და მორიგეობით გამოიცანით, რისი დანახვა შეუძლიათ, ან არ შეუძლიათ სხვებს. ამით დაეხმარებით ბავშვს გააცნობიეროს, რომ ყველას არ აქვს წვდომა ერთ და იგივე ინფორმაციაზე.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ააშენე სახლი





© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ააშენე სახლი



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. ვინ არის სახლში?

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსის 2 ეგზემპლარი პატარა ბარათებზე. ამოჭერით ადამიანები ადამიანების ერთი და იგივე ადგილზე დასმით, უნდა დაამთხვიოთ ერთმანეთს ორი სახლი,

1. მიეცით ბავშვს ერთი სახლი და წაახალისეთ, რომ მისცეს მეორე სახლი თავის მშობელს/აღმზრდელს.
2. დაამრგვალეთ blu tack-ის პატარა ნაჭრები და დაამაგრეთ თითო ადამიანის უკან.
3. ისაუბრეთ იმაზე, თუ ვინ არის თითოეული ადამიანი და შემდეგ წაახალისეთ ბავშვი, აირჩიოს ერთი.
4. წაახალისეთ ბავშვი, მიუთითოს თავის მშობელს/აღმზრდელს, რომ აირჩიოს ეს ადამიანი.
5. ისაუბრეთ სახლის ოთახებზე და წაახალისეთ ბავშვი, რომ ჩასვას ადამიანი ოთახში.
6. წაახალისეთ ბავშვი, მიუთითოს თავის მშობელს/აღმზრდელს, თუ სად ჩასვას ადამიანი.
7. ისაუბრეთ იმაზე, თუ რა შეიძლება აკეთოს ადამიანმა ოთახში.
8. შეადარეთ ორი სახლი, ნახეთ, არის თუ არა იდენტური, ისაუბრეთ ადამიანზე, სად არის და რას აკეთებს.
9. შეცვალეთ როლები, რომ ბავშვის მშობლემა/აღმზრდელმა აირჩიოს ადამიანი და უთხრას ბავშვს, ვინ აირჩიოს. შემდეგ სად ჩასვას ის.
10. თუ ზემოხსენებული ადვილია, ეცადეთ გააკეთოთ სახლებს შორის ბარიერი ისე, რომ მსმენელი ვერ ხედავდეს მოსაუბრის სახლს.

რესურსები

- ჩემი სახლი - დ1 დ2 დL3 ა2
- მაკრატელი
- Blu Tack

მოსალოდნელი შედეგები

- ითვისებს ერთ საგანს:
  - ადამიანი; მაგალითად, ბებია, მამა, გოგო
  - ადგილი; მაგალითად, საძინებელი, სამზარეულო, სააბაზანო
  - ზმნა, მაგალითად,ძინავს, თამაშობს, საჭმელს აკეთებს

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: თითოეული ადამიანის აღნიშვნამდე, ჯერ ისაუბრეთ მასზე, რათა დაეხმაროთ ბავშვს აითვისოს აუდიტორული შემავალი ინფორმაცია, სანამ მოახდენს ფოკუსირებას ვიზუალურ ინფორმაციაზე.

მომიახლოვდი: ბავშვის თავის მშობელთან/აღმზრდელთან და თქვენთან გვერდიგვერდ ჯდომა ხელს შეუწყობს საუკეთესო აუდიტორული სიგნალის უზრუნველყოფას. როდესაც ადამიანები იკავებენ სახლებში თავიანთ ადგილებს, გვერდიგვერდ ჯდომა ასევე ეხმარება ბავშვს ადვილად შეადაროს სახლები, რომ ნახოს არის თუ არა სახლები იდენტური.

მოსალოდნელი შედეგები

- იმეორებს ან აკეთებს ერთი სიტყვის აღნიშვნას;
  - ადამიანი/ადგილი/ზმნა

ძირითადი სტრატეგიები

ჩემი ხმა მნიშვნელოვანია: დასაწყისში ბავშვის ნათქვამი სიტყვები შეიძლება არ იყოს ძალიან მკაფიო. წაახალისეთ ბავშვის ყველა მცდელობა, რადგან მნიშვნელოვანია იცოდეს, თუ რამდენად ძლიერია მისი ხმა. ოჰ, მე მგონი შენ თქვი ბავშვი. კარგი, მე მყავს ბავშვი.

გავრცობა და განგრძობა: როდესაც ბავშვი იყენებს ერთ სიტყვას, გაიმეორეთ და დაამატეთ კიდევ ერთი ან ორი სიტყვა, რათა უზრუნველყოთ შემდეგი დონის მეტყველების მოდელი. ბავშვი საძინებელშია. ბავშვს სძინავს.

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის ცნებები; იგივე/არ არის იგივე.

ძირითადი სტრატეგია

აკუსტიკური აქცენტირება: მიაქციეთ ბავშვის ყურადღება ცნებებს აკუსტიკური აქცენტირებით; ყოჩაღ; სახლები ერთი და იგივეა. გაამყარეთ უარყოფითი მნიშვნელობები. დარწმუნდით, რომ ადამიანები ორივე სახლში სხვადასხვა ადგილზე არიან და ხაზი გაუსვით ამას; ოჰ, ძვირფასო, ისინი არ არის იგივე.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. ვინ არის სახლში?

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსის 2 ეგზემპლარი პატარა ბარათებზე. ამოჭერით ადამიანები ადამიანების ერთი და იგივე ადგილზე დასმით, უნდა დაამთხვიოთ ერთმანეთს ორი სახლი

1. მიეცით ბავშვს ერთი სახლი და წაახალისეთ, რომ მისცეს მეორე სახლი თავის მშობელს/აღმზრდელს.
2. დაამრგვალეთ blu tack-ის პატარა ნაჭრები და დაამაგრეთ თითო ადამიანის უკან.
3. ისაუბრეთ იმაზე, თუ ვინ არის თითოეული ადამიანი და შემდეგ წაახალისეთ ბავშვი, აირჩიოს ერთი.
4. წაახალისეთ ბავშვი, მიუთითოს თავის მშობელს/აღმზრდელს, რომ აირჩიოს ეს ადამიანი.
5. ისაუბრეთ სახლის ოთახებზე და წაახალისეთ ბავშვი, რომ ჩასვას ადამიანი ოთახში.
6. წაახალისეთ ბავშვი, მიუთითოს თავის მშობელს/აღმზრდელს, თუ სად ჩასვას ადამიანი.
7. ისაუბრეთ იმაზე, თუ რა შეიძლება აკეთოს ადამიანმა ოთახში.
8. შეადარეთ ორი სახლი, ნახეთ, არის თუ არა იდენტური, ისაუბრეთ ადამიანზე, სად არის და რას აკეთებს.
9. შეცვალეთ როლები, რომ ბავშვის მშობლემა/აღმზრდელმა აირჩიოს ადამიანი და უთხრას ბავშვს, ვინ აირჩიოს. შემდეგ სად ჩასვას ის.
10. თუ ზემოხსენებული ადვილია, ეცადეთ გააკეთოთ სახლებს შორის ბარიერი ისე, რომ მსმენელი ვერ ხედავდეს მოსაუბრის სახლს.

რესურსები

- ჩემი სახლი - დ1 დ2 დL3 ა2
- მაკრატელი
- Blu Tack

მოსალოდნელი შედეგები

- ითვისებს ორ საგანს: ადამიანი + ადგილი, მაგალითად, მამაარის სააბაზანოში.

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: ბარიერის გამოყენება მოუწოდებს ბავშვს გამოიყენოს სმენა, რათა მოაგვაროს სახლების შესატყვისობის საკითხი. შემოწმების მიზნით, ბავშმა შეიძლება სცადოს და ჩუმად გადაიხედოს ბარიერს იქით. კიდევ ერთხელ წაახალისეთ, რომ შეხედვამდე მოისმინო. ადამიანის ან/და ადგილის აღნიშვნამდე, ჯერ ისაუბრეთ მასზე, რათა დაეხმაროთ ბავშვს აითვისოს აუდიტორული შემავალი ინფორმაცია, სანამ მოახდენს ფოკუსირებას ვიზუალურ ინფორმაციაზე.

მომიახლოვდი: ბავშვის თავის მშობელთან/აღმზრდელთან და თქვენთან გვერდიგვერდ ჯდომა ხელს შეუწყობს საუკეთესო აუდიტორული სიგნალის უზრუნველყოფას. როდესაც ადამიანები იკავებენ სახლებში თავიანთ ადგილებს, გვერდიგვერდ ჯდომა ასევე ეხმარება ბავშვს ადვილად შეადაროს სახლები, რომ ნახოს არის თუ არა სახლები იდენტური. ეს ეხმარება ბავშვებს ენდოს თავის მოწმენილს.

მოსალოდნელი შედეგები

- იმეორებს ან ამბობს 2 – 3 სიტყვას;
  - ადამიანი + ადგილი; მაგალითად, მამა არის სააბაზანოში.
  - ადგილი + თანდებული; მაგალითად, სააბაზანოში.
  - ადამიანი + ადგილი + თანდებული; მაგალითად,ბავშვი საწოლში.

ძირითადი სტრატეგიები

გავრცობა და განგრძობა: ყურადღებით მოუსმინეთ, რას ამბობს ბავშვი. განავრცეთ ან დაამატეთ სიტყვები წინადადებაში, რომ უფრო სრული ან რთული გახადოთ ის. გაიმეორეთ და დაამატეთ კიდევ ერთი ან ორი სიტყვა, რათა უზრუნველყოთ შემდეგი დონის მეტყველების მოდელი. გამოიყენეთაკუსტიკური აქცენტირება, რომ ყურადღება მიაქციოთ უგულვებელყოფილ გრამატიკულ წყობას ან ახალ ინფორმაციას. ბავშვი საძინებელშია. ბავშვს სძინავს.

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის, რომ დანახვა ან ინფორმაციის მოსმენა = ცოდნას

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ბარერი ეხმარება ბავშვს განავითაროს გონების თეორია და გააცნობიეროს, რომ შემეცნებითი აქტივობა აუცილებელია, რათა სხვებმაც გაიგონ ის ინფორმაცია, რომლებსაც შეიძლება უკვე ფლობდეს ბავშვი. დაეხმარეთ ბავშვს ამის ახსნით. დედა ვერ ხედავს. შენ უნდა უთხრა. პატარა გოგო სააბაზანოშია.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. ვინ არის სახლში?

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსის 2 ეგზემპლარი პატარა ბარათებზე. ამოჭერით ადამიანები ადამიანების ერთი და იგივე ადგილზე დასმით, უნდა დაამთხვიოთ ერთმანეთს ორი სახლი,

1. მიეცით ბავშვს ერთი სახლი და წაახალისეთ, რომ მისცეს მეორე სახლი თავის მშობელს/აღმზრდელს.
2. დაამრგვალეთ blu tack-ის პატარა ნაჭრები და დაამაგრეთ თითო ადამიანის უკან.
3. ისაუბრეთ იმაზე, თუ ვინ არის თითოეული ადამიანი და შემდეგ წაახალისეთ ბავშვი, აირჩიოს ერთი.
4. წაახალისეთ ბავშვი, მიუთითოს თავის მშობელს/აღმზრდელს, რომ აირჩიოს ეს ადამიანი.
5. ისაუბრეთ სახლის ოთახებზე და წაახალისეთ ბავშვი, რომ ჩასვას ადამიანი ოთახში.
6. წაახალისეთ ბავშვი, მიუთითოს თავის მშობელს/აღმზრდელს, თუ სად ჩასვას ადამიანი.
7. ისაუბრეთ იმაზე, თუ რა შეიძლება აკეთოს ადამიანმა ოთახში.
8. შეადარეთ ორი სახლი, ნახეთ, არის თუ არა იდენტური, ისაუბრეთ ადამიანზე, სად არის და რას აკეთებს.
9. შეცვალეთ როლები, რომ ბავშვის მშობლემა/აღმზრდელმა აირჩიოს ადამიანი და უთხრას ბავშვს, ვინ აირჩიოს. შემდეგ სად ჩასვას ის.
10. თუ ზემოხსენებული ადვილია, ეცადეთ გააკეთოთ სახლებს შორის ბარიერი ისე, რომ მსმენელი ვერ ხედავდეს მოსაუბრის სახლს.

რესურსები

- ჩემი სახლი - დ1 დ2 დL3 ა2
- მაკრატელი
- Blu Tack

მოსალოდნელი შედეგები

- ითვისებს სამ საგანს: ადამიანი + ზმნა + ადგილი; მაგალითად, ბებია სამზარეულოში საქმელს ამზადებს.

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: ბარიერის გამოყენება მოუწოდებს ბავშვს გამოიყენოს სმენა, რათა მოაგვაროს სახლების შესატყვისობის საკითხი. თუ ბავშვითვის სამი საგანის გამოყენება მარტივია, დაამატეთ წინადადებაში დამატებითი ინფორმაცია ისე, რომ ბავშვმა ყურადღება გაამახვილოს მნიშვნელოვან ნაწილებზე. ბებია მაღაზიებიდან სახლში მოვიდა და ახლა საქელს ამზადებს სამზარეულოში.

მომიახლოვდი: ბავშვის თავის მშობელთან/აღმზრდელთან და თქვენთან გვერდიგვერდ ჯდომა ხელს შეუწყობს საუკეთესო აუდიტორული სიგნალის უზრუნველყოფას. როდესაც ადამიანები იკავებენ სახლებში თავიანთ ადგილებს, გვერდიგვერდ ჯდომა ასევე ეხმარება ბავშვს ადვილად შეადაროს სახლები, რომ ნახოს არის თუ არა სახლები იდენტური.

მოსალოდნელი შედეგები

- ადგენს წინადადებას: ადამიანი + ზმნა + თანდებული, მაგალითან, მამა უყურებს ტელევიზორს მოსასვენებელ ოთახში.

ძირითადი სტრატეგიები

გავრცობა და განგრძობა: ყურადღებით მოუსმინეთ, რას ამბობს ბავშვი. განავრცეთ ან დაამატეთ სიტყვები წინადადებაში, რომ უფრო სრული ან რთული გახადოთ ის. გაიმეორეთ და დაამატეთ კიდევ ერთი ან ორი სიტყვა, რათა უზრუნველყოთ შემდეგი დონის მეტყველების მოდელი. გამოიყენეთაკუსტიკური აქცენტირება, რომ ყურადღება მიაქციოთ უგულვებელყოფილ გრამატიკულ წყობას ან ახალ ინფორმაციას. ბებია ამზადების სოსისებს სამზარეულოში.

მოსალოდნელი შედეგები

- მსჯელობს სცენარში მოყვანილი ადამიანების ემოციებზე.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: განავრცეთ თითოეული ადამიანის ამბავი. განიხილეთ, თუ რას შეიძლება გრძნობდნენ ისინი. ეს ეხმარება ბავშვს განივითაროს იმის გაგების უნარი, თუ რას გრძნობენ სხვა ადამიანები და რა იწვევს ამ გრძნნობებს. მამა მოსასვენებელ ოთახში უყურებს ტელევიზორს. ის ალბათ ძალიან დაღლილია. მან ძალიან ადრე გაიღვიძა და მთელი დღე მუშაობდა.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

2. ვინ არის სახლში?

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

2. ვინ არის სახლში?



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

3. სად უნდა იყოს?

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე. ამობეჭდეთ 2 გვერდი ერთ გვერდზე, რომ ბარათები პატარა გამოვიდეს. ამოჭერით თავსატეხის ნაწილები.

რესურსები

- ჩემი სახლი - დ1 დ2 დ3 ა3
- მაკრატელი

თქვენ უნდა იპოვოთ ერთმანეთის შესატყვისი თავსატეხის ნაწილები.

1. თითოეული ბარათის მარცხენა მხარეზე გამოსახულია საყოფაცხოვრებო ნივთის სურათი. გააკეთეთ შეკვრა და დაალაგეთ სახით ქვემოთ.
2. გაშალეთ მაგიდაზე სხვა ბარათები, რომლებზეც გამოსახულია ნივთების შესატყვისი ადგილები.
3. აიღეთ საყოფაცხოვრებო ნივთის ბარათი. დაასახელეთ იგი და ისაუბრეთ იმაზე, თუ სად უნდა იყოს ის თქვენი აზრით.
4. იპოვეთ ნახატი, რომელიც თქვენი აზრით ყველაზე უკეთ შეესაბამება და ნახეთ მოერგება თუ არა ერთმანეთს ნაწილები.
5. თუ ისინი შეესაბამება ერთმანეთს, ისაუბრეთ სიტყვებს შორის ურთიერთკავშირზე, მაგალითად, ბალიში უნდა იყოს საძინებელში. ის არის საწოლში ძილისთვის.
6. მორიგეობით აიღეთ ბარათი საყოფაცხოვრებო ნივთების შეკვრიდან და მოძებნეთ მისი შესატყვისი ადგილი.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას:
  - საგანი, მაგალითად, ბალიში, კომპიუტერი, საპონი
  - ადგილი; მაგალითად, საძინებელი, ოფისი, სააბაზანო

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: როდესაც აიღებთ ბარათს, ბავშვსთვის სურათის ჩვენებამდე ისაუბრეთ საგანზე. ასევე იმაზე, თუ სად უნდა იყოს ის თქვენი აზრით, სანამ ეცდებით იპოვოთ თავსატეხის შესაბამისი ნაწილი.

დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ: მას შემდეგ, რაც ისაუბრეთ თქვენი საგნის შესახებ, მიეცით ბავშვს ცოტა დრო, რომ ნახოთ, შეძლებს თუ არა ნივთის სურათის ნახვამდე, შესაბამისი ნაწილის პოვნას. ოჰ, მე ტუალეტის ქაღალდი მაქვს. ჰმმმ. ტუალეტის ქაღალდი. სად ვიპოვოთ ტუალეტის ქაღალდს…

მოსალოდნელი შედეგები

- კატეგორიების ფარგლებში აერთიანებს სიტყვებს; ნივთები სახლში/ადგილები სახლში.

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები: შესთავაზეთ ბავშვს ვარიანტები, რათა დაეხმაროთ ახალი სიტყვების დამახსოვრებაში. გასამარტივებლად, ჩასვით სწორი ვარიანტი ბოლოში. შენ გაქვს საპონი. როგორ ფიქრობ, საპონი უნდა იყოსსაძინებელში ….თუ სააბაზანოში?

საბოტაჟი: თავსატეხის ბარათები თვითრეგულირებადი არიან. თუ ბარათს არასწორ ადგილას დადებთ, ბარათები ერთმანეთს არ მოერგება. ეს კიდევ ერთ შანსს მოგცემთ, რომ ისაუბროთ საგნებზე, ადგილზე და გამოხატოთ უარყოფა და იუმორიც კი. მე მაქვს ტელევიზორი. ვფიქრობ, ის უნდა იყოს ტუალეტში. უი ოჰ! ტუალეტში არა. ის უნდა იყოს მისაღებ ოთახში.

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის კავშირი საგანსა და ადგილს შორის.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ბავშვებმა ბევრჯერ უნდა მოისმინონ სიტყვები, რათა ისწავლოს მათი მნიშვნელობა და შეძლონ მათი დამახსოვრება ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში შეძლონ მათი გამოყენება. სიტყვებს შორის კავშირების შექმნა ამ პროცესს ეხმარება. მეტი საუბრით დაეხმარეთ ბავშვს გააცნობიეროს, თუ რატომ შეესაბამება სიტყვები ერთმანეთს. მე მაქვს დიდი ქვაბი. ვფიქრობ, ის უნდა იყოს სამზარეულოში. მე შემიძლია მოვამზადო საჭმელი ქვაბში. მე შემიძლია მოვამზადო საჭმელი სამზარეულოში.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

3. სად უნდა იყოს?

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე. ამობეჭდეთ 2 გვერდი ერთ გვერდზე, რომ ბარათები პატარა გამოვიდეს. ამოჭერით თავსატეხის ნაწილები.

რესურსები

- ჩემი სახლი - დ1 დ2 დ3 ა3
- მაკრატელი

თქვენ უნდა იპოვოთ ერთმანეთის შესატყვისი თავსატეხის ნაწილები.

1. თითოეული ბარათის მარცხენა მხარეზე გამოსახულია საყოფაცხოვრებო ნივთის სურათი. გააკეთეთ შეკვრა და დაალაგეთ სახით ქვემოთ.
2. გაშალეთ მაგიდაზე სხვა ბარათები, რომლებზეც გამოსახულია ნივთების შესატყვისი ადგილები.
3. აიღეთ საყოფაცხოვრებო ნივთის ბარათი. დაასახელეთ იგი და ისაუბრეთ იმაზე, თუ სად უნდა იყოს ის თქვენი აზრით.
4. იპოვეთ ნახატი, რომელიც თქვენი აზრით ყველაზე უკეთ შეესაბამება და ნახეთ მოერგება თუ არა ერთმანეთს ნაწილები.
5. თუ ისინი შეესაბამება ერთმანეთს, ისაუბრეთ სიტყვებს შორის ურთიერთკავშირზე, მაგალითად, ბალიში უნდა იყოს საძინებელში. ის არის საწოლში ძილისთვის.
6. მორიგეობით აიღეთ ბარათი საყოფაცხოვრებო ნივთების შეკვრიდან და მოძებნეთ მისი შესატყვისი ადგილი.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს საგნის ადგილსამყოფელის იდენტიფიცირებას; მაგალითად, საპონი უნდაიყოს სააბაზანოში.

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: როდესაც აიღებთ ბარათს, ბავშვსთვის სურათის ჩვენებამდე ისაუბრეთ საგანზე. ასევე იმაზე, თუ სად უნდა იყოს ის თქვენი აზრით, სანამ ეცდებით იპოვოთ თავსატეხის შესაბამისი ნაწილი.

დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ: მას შემდეგ, რაც ისაუბრეთ თქვენი საგნის შესახებ, მიეცით ბავშვს ცოტა დრო, რომ ნახოთ, შეძლებს თუ არა ნივთის სურათის ნახვამდე, შესაბამისი ნაწილის პოვნას. ოჰ, მე ტუალეტის ქაღალდი მაქვს. ჰმმმ. ტუალეტის ქაღალდი. სად ვიპოვოთ ტუალეტის ქაღალდს…

მოსალოდნელი შედეგები

- აერთიანებს სიტყვებს კავშირებზე სასაუბროდ.

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები: შესთავაზეთ ბავშვს ვარიანტები, რათა დაეხმაროთ ახალი სიტყვების დამახსოვრებაში. გასამარტივებლად, ჩასვით სწორი ვარიანტი ბოლოში. შენ გაქვს საპონი. როგორ ფიქრობ, საპონიუნდაიყოს საძინებელში… თუ საპონი უნდაიყოს სააბაზანოში?

საბოტაჟი: თავსატეხის ბარათები თვითრეგულირებადი არიან. თუ ბარათს არასწორ ადგილას დადებთ, ბარათები ერთმანეთს არ მოერგება. ეს კიდევ ერთ შანსს მოგცემთ, რომ ისაუბროთ საგნებზე, ადგილზე და გამოხატოთ უარყოფა და იუმორიც კი. მე მაქვს ტელევიზორი.მე ვფიქრობ, რომ ტელევიზორიუნდაიყოს ტუალეტში. უი ოჰ! არ უნდა იყოს ტუალეტში. ტელევიზორიუნდა იყოსმისაღებ ოთახში.

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის კავშირი საგანსა და ადგილს შორის.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ბავშვებმა ბევრჯერ უნდა მოისმინონ სიტყვები, რათა ისწავლოს მათი მნიშვნელობა და შეძლონ მათი დამახსოვრება ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში შეძლონ მათი გამოყენება. სიტყვებს შორის კავშირების შექმნა ამ პროცესს ეხმარება. მეტი საუბრით დაეხმარეთ ბავშვს გააცნობიეროს, თუ რატომ შეესაბამება სიტყვები ერთმანეთს. მე მაქვს დიდი ქვაბი. ვფიქრობ, რომ დიდი ქვაბი უნდა იყოს სამზარეულოში. მე შემიძლიამოვამზადო საჭმელიქვაბში. მე შემიძლია მოვამზადო საჭმელი ქვაბშისამზარეულოში.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

3. სად უნდა იყოს?

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე. ამობეჭდეთ 2 გვერდი ერთ გვერდზე, რომ ბარათები პატარა გამოვიდეს. ამოჭერით თავსატეხის ნაწილები.

რესურსები

- ჩემი სახლი - დ1 დ2 დ3 ა3
- მაკრატელი

თქვენ უნდა იპოვოთ ერთმანეთის შესატყვისი თავსატეხის ნაწილები.

1. თითოეული ბარათის მარცხენა მხარეზე გამოსახულია საყოფაცხოვრებო ნივთის სურათი. გააკეთეთ შეკვრა და დაალაგეთ სახით ქვემოთ.
2. გაშალეთ მაგიდაზე სხვა ბარათები, რომლებზეც გამოსახულია ნივთების შესატყვისი ადგილები.
3. აიღეთ საყოფაცხოვრებო ნივთის ბარათი. დაასახელეთ იგი და ისაუბრეთ იმაზე, თუ სად უნდა იყოს ის თქვენი აზრით.
4. იპოვეთ ნახატი, რომელიც თქვენი აზრით ყველაზე უკეთ შეესაბამება და ნახეთ მოერგება თუ არა ერთმანეთს ნაწილები.
5. თუ ისინი შეესაბამება ერთმანეთს, ისაუბრეთ სიტყვებს შორის ურთიერთკავშირზე, მაგალითად, ბალიში უნდა იყოს საძინებელში. ის არის საწოლში ძილისთვის.
6. მორიგეობით აიღეთ ბარათი საყოფაცხოვრებო ნივთების შეკვრიდან და მოძებნეთ მისი შესატყვისი ადგილი.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს საგნის იდენტიფიცრებას მისი დანიშნულების აღწერიდან; მაგალითად, ჩვენ მას ვხმარობთ ხელების დასაბანად.

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: როდესაც აიღებთ ბარათს, ბავშვსთვის სურათის ჩვენებამდე ისაუბრეთ საგანზე. ასევე იმაზე, თუ სად უნდა იყოს ის თქვენი აზრით, სანამ ეცდებით იპოვოთ თავსატეხის შესაბამისი ნაწილი.

დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ: მას შემდეგ, რაც ისაუბრეთ თქვენი საგნის შესახებ, მიეცით ბავშვს ცოტა დრო, რომ ნახოთ, შეძლებს თუ არა ნივთის სურათის ნახვამდე, შესაბამისი ნაწილის პოვნას. ოჰ, მე მაქვს ის, რაც გჭირდება, როდესაც რამე საჭმელს ამზადებ, რაც გჭირდება, როდესაც კვერცხს ამზადებ. შენ შეგიძლია გატეხო კვერცხი და შემდეგ შეწვა...

მოსალოდნელი შედეგები

- აღწერს ორ სიტყვას შორის არსებულ ურთიერთკავშირს.

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები: შესთავაზეთ ბავშვს ვარიანტები, რათა დაეხმაროთ ახალი სიტყვების დამახსოვრებაში და მათ ურთიერთკავშირებში. როგორ ფიქრობ, ტაფა უნდა იყოს სააბაზანოში, თუ ტაფა უნდა იყოს სამზარეულოში?

საბოტაჟი: თავსატეხის ბარათები თვითრეგულირებადი არიან. თუ ბარათს არასწორ ადგილას დადებთ, ბარათები ერთმანეთს არ მოერგება. ეს კიდევ ერთ შანსს მოგცემთ, რომ ისაუბროთ საგნებზე, ადგილზე და გამოხატოთ უარყოფა და იუმორიც კი. მე მაქვს ტელევიზორი. მე ვფიქრობ, რომ სასაცილო იქნება, თუ ტელევიზორიიქნება ტუალეტში. მოდი შევამოწმოთ. ჰაჰა, ტელევიზორი არ უნდა იყოს ტუალეტში. ტელევიზორიუნდა იყოსმისაღებ ოთახში.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს პიროვნების მოქმედების პროგნოზირებას, პიროვნების ცრუ განზრახვების საფუძველზე.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: იმის გაცნობიერება, რომ ადამიანს შეუძლია დაიჯეროს ის, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს, არის გონების თეორიის უნარი, რომელსაც ცრუ განზრახვას უწოდებენ. აქტივობის საბოტაჟით აქცენტირება გააკეთეთ ამ კონცეფციაზე, იმაზე დაფიქრებით (ან მშობლმა/აღმზრდელმა აფიქრებინოს), რომ კონკრეტული ნივთები არასწორ ადგილზეა. მაგალითად, მამას ეგონა, რომ სარეცხი ფხვნილი უნდა იყოს სამზარეულოში, მაგრამ ასე არაა, ის უნდა იყოს სამრეცხაოში.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. სად უნდა იყოს?

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. სად უნდა იყოს?



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. სად უნდა იყოს?



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. სად უნდა იყოს?

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

4. ჩემი სახლი

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსები ქაღალდზე.
ამობეჭდეთ 4 გვერდი ერთ გვერდზე, ჰორიზონტალური მიმართულებით.

1.	2.
3.	4.

რესურსები

- ჩემი სახლი - დ1 დ2 დ3 ა4
- მაკრატელი და სტეპლერი

თქვენ უნდა გააკეთოთ წიგნი, რომელიც ერთად უნდა წაიკითხოთ.

1. გაჭერით გვერდი შუაზე (ისე, რომ ერთად გქონდეთ თანმიმდევრული რიცხვები).
2. დაკეცეთ თითო გვერდი ისე, რომ სურათები გარეთ მოექცეს.
3. ააწყეთ წიგნი ისე, რომ გეჭიროთ სათაურის გვერდი და სხვა გვერდების დაწყობისას ითვალეთ გვერდების ნომრები.
4. დაასტეპლერეთ წიგნი გაჭრილ ნაპირებზე.
5. წაიკითხეთ წიგნი ერთად.

მოსალოდნელი შედეგები

- ითვისებს ზმნებს, მაგალითად: <u>დაჭრა, დაკეცვა, დათვლა, დაჭერა, მიწოლა</u>
- ითვისებს წიგნს

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: წაახალისეთ ბავშვი, რომ დაგეხმაროთ წიგნის გაკეთებაში და ყოველ მოქმედებას თან დაურთეთ შესაბამისი ზმნები. აი, შენ დამეხმარე დაჭრაში. სწორია, ახლა უნდა დავკეცოთ. კარგი, ახლა ჩვენ ამას ერთად ავაწყობთ. ჯერ უნდა დავთვალოთ. დაიჭირე ეს. ახლა ჩვენ ამას დავასტეპლერებთ. მზადაა... მიაჭირე.

წიგნები, წიგნები, წიგნები: მცირეწლოვანი ბავშვებისთვის განკუთვნილი ბევრი ასეთი წიგნი იყენებს განმეორებით ფრაზებს წინადადების სტრუქტურის გასაძლიერებლად. გარდა ამისა, თითოეული ორი გვერდის ნაკრების სიტყვებს თანმიმდევრული რიტმი აქვთ. გამოიყენეთ<u>აკუსტიკური აქცენტირება</u> სიტყვების მეტისმეტად ხაზგასმით, რათა გააძლიეროთ რიტმი და შეინარჩუნოთ ბავშვის ყურადღება. ჩემსსახლს აქვს დიდი წინაკარი დასაკაკუნებლად.

მოსალოდნელი შედეგები

- ცდილობს გაიმეოროს ერთი სიტყვა ყოველი გვერიდან.

ძირითადი სტრატეგიები

მომიახლოვდი:: წაახალისეთ ბავშვის მშობელი/აღმზრდელი, რაც შეიძლება ახლოს დაუჯდეს ბავშვს, რათა შეძლოთ მოთხრობის კითხვის მონიტორიგნი. წაიკითხეთ წიგნის ერთი ხაზი, შემდეგ დადგით წიგნი მშობლის/აღმზრდელის წინ, რომ მანაც წაიკითხოს, ხოლო შემდეგ მოატრიალეთ ბავშვისკენ, რომ მისცეთ სტიმული „წაიკითხოს“ გვერდი.

ჩემი ხმა მნიშვნელოვანია: დაიკავეთ წიგნი ბავშვის წინ და დაელოდეთ, სანამ ის ხმამაღლა წაიკითხავს. თავდაპირველად შეიძლება გაიგოთ მხოლოდ ერთი სიტყვის მიახლოებით მნიშვნელობა. გაითვალისწინეთ ეს, როდესაც ბავშვის „კითხვის“ რიგი იქნება და გადაშალეთ გვერდი.

მოსალოდნელი შედეგები

- უერთდება საუბარს საკუთარ სახლთან დაკავშირებით.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: წიგნის თითოეულ გვერდზე ისაუბრეთ იმაზე, გაქვთ თუ არა სახლის ეს ნაწილი. შეეკითხეთ ბავშვს და მის მშობელს/აღმზრდელს, აქვთ თუ არა სახლის ეს ნაწილი და თუ აქვთ, იყენებენ თუ არა მას ისე, როგორც წიგნშია აღწერილი.
მე არ მაქვს დერეფანი. თქვენ გაქვთ დერეფანი? შეგიძლია მანდ სირბილი?

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

4. ჩემი სახლი

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსები ქაღალდზე.
ამობეჭდეთ 4 გვერდი ერთ გვერდზე, ჰორიზონტალური მიმართულებით.

1.	2.
3.	4.

რესურსები

- ჩემი სახლი - დ1 დ2 დ3 ა4
- მაკრატელი და სტეპლერი

თქვენ უნდა გააკეთოთ წიგნი, რომელიც ერთად უნდა წაიკითხოთ.

1. გაჭერით გვერდი შუაზე (ისე, რომ ერთად გქონდეთ თანმიმდევრული რიცხვები).
2. დაკეცეთ თითო გვერდი ისე, რომ სურათები გარეთ მოექცეს.
3. ააწყეთ წიგნი ისე, რომ გეჭიროთ სათაურის გვერდი და სხვა გვერდების დაწყობისას ითვალეთ გვერდების ნომრები.
4. დაასტეპლერეთ წიგნი გაჭრილ ნაპირებზე.
5. წაიკითხეთ წიგნი ერთად.

მოსალოდნელი შედეგები

- ითვისებს ზმნა + საგანი; მაგალითად: ფურცხლის დაჭრა, გვერდების დათვლა, წიგნის დაჭერა
- ითვისებს წიგნს
- ფურცლავს გვერდს, როდესაც მიიღებს მითითებებს.

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: წაახალისეთ ბავშვი, რომ დაგეხმაროთ წიგნის გაკეთებაში და აკუსტიკურ აქცენტირებაში, ზმნა + საგნების ერთმანეთთან შერწყმა. აი, დამეხმარე გავჭრაქაღალდიშუაში. სწორია, ახლა უნდა დავკეცოთ გვერდები. კარგი, ახლა ჩვენ ამას ერთად ავაწყობთ. ჯერ უნდა დავთვალოთ ციფრები. დაიჭირე წიგნი. ახლა ჩვენ ამას დავასტეპლერებთ. მზადაა... მიაჭირე სტეპლერს.

წიგნები, წიგნები, წიგნები: მცირეწლოვანი ბავშვებისთვის განკუთვნილი ბევრი ასეთი წიგნი იყენებს განმეორებით ფრაზებს წინადადების სტრუქტურის გასაძლიერებლად. გარდა ამისა, თითოეული ორი გვერდის ნაკრების სიტყვებს თანმიმდევრული რიტმი აქვთ. გამოიყენეთ აკუსტიკური აქცენტირება სიტყვების მეტისმეტად ხაზგასმით, რათა გააძლიეროთ რიტმი, შეინარჩუნოთ ბავშვის ყურადღება და დაეხმაროთ განავითაროს სმენითი მეხსიერება. ჩემსსახლს აქვს დიდი წინაკარი დასაკაკუნებლად.

მოსალოდნელი შედეგები

- ცდილობს გაიმეოროს 2-3 სიტყვა თითო გვერდიდან

ძირითადი სტრატეგიები

მომიახლოვდი: წაახალისეთ ბავშვის მშობელი/აღმზრდელი, რაც შეიძლება ახლოს დაუჯდეს ბავშვს, რათა შეძლოთ მოთხრობის კითხვის მონიტორიგნი. წაიკითხეთ წიგნის ერთი ხაზი, შემდეგ დადგით წიგნი მშობლის/აღმზრდელის წინ, რომ მანაც წაიკითხოს, ხოლო შემდეგ მოატრიალეთ ბავშვისკენ, რომ მისცეთ სტიმული „წაიკითხოს“ კონკრეტული გვერდიდან რაც შეიძლება მეტი სიტყვა.

დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ: დაიკავეთ წიგნი ბავშვის წინ და დაელოდეთ, სანამ ის ხმამაღლა წაიკითხავს. თავდაპირველად შეიძლება გაიგოთ მხოლოდ ერთი სიტყვა. შესთავაზეთ გაფართოებული მოდელი და კვლავ დაელოდეთ, შეძლებს თუ არა ბავშვი უფრო მეტის გამეორებას.

მოსალოდნელი შედეგები

- უერთდება საუბარს საკუთარ სახლთან დაკავშირებით.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: წიგნის თითოეულ გვერდზე ისაუბრეთ იმაზე, გაქვთ თუ არა სახლის ეს ნაწილი. შეეკითხეთ ბავშვს და მის მშობელს/აღმზრდელს, აქვთ თუ არა სახლის ეს ნაწილი და თუ აქვთ, იყენებენ თუ არა მას ისე, როგორც წიგნშია აღწერილი. მე არ მაქვს დერეფანი. თქვენ გაქვთ დერეფანი? შეგიძლია მანდ სირბილი?

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

4. ჩემი სახლი

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსები ქაღალდზე.
ამობეჭდეთ 4 გვერდი ერთ გვერდზე, ჰორიზონტალური მიმართულებით.

1.	2.
3.	4.

რესურსები

- ჩემი სახლი - დ1 დ2 დ3 ა4
- მაკრატელი და სტეპლერი

თქვენ უნდა გააკეთოთ წიგნი, რომელიც ერთად უნდა წაიკითხოთ.

1. გაჭერით გვერდი შუაზე (ისე, რომ ერთად გქონდეთ თანმიმდევრული რიცხვები).
2. დაკეცეთ თითო გვერდი ისე, რომ სურათები გარეთ მოექცეს.
3. ააწყეთ წიგნი ისე, რომ გეჭიროთ სათაურის გვერდი და სხვა გვერდების დაწყობისას ითვალეთ გვერდების ნომრები.
4. დაასტეპლერეთ წიგნი გაჭრილ ნაპირებზე.
5. წაიკითხეთ წიგნი ერთად.

მოსალოდნელი შედეგები

- მიჰყვება რთულ ინსტრუქციებს
- ითვისებს წიგნს და პასუხობს კითხვებს.

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: წაახალისეთ ბავშვი, რომ დაგეხმაროთ წიგნის გაკეთებაში, გზადაგზა მითითებში უცნობი სიტყვების აკუსტიკური აქცენტირებით . აი, დამეხმარე გადავჭრად ქაღალდი. ეხლა დავკეცოთ ყველა გვერდი ისე, რომ სურათები გარეთ მოექცეს. ახლა უნდა დავალაგოთ გვერდები თანმიმდევრობით. დაიჭირე წიგნი მყარად ორი ხელით. ახლა ჩვენ ამას დავასტეპლერებთ გვერდიდან გაჭრილი დაპირებზე.

წიგნები, წიგნები, წიგნები: მცირეწლოვანი ბავშვებისთვის განკუთვნილი ბევრი ასეთი წიგნი იყენებს განმეორებით ფრაზებს წინადადების სტრუქტურის გასაძლიერებლად. გარდა ამისა, თითოეული ორი გვერდის ნაკრების სიტყვებს თანმიმდევრული რიტმი აქვთ. გამოიყენეთ<u>აკუსტიკური აქცენტირება</u> სიტყვების მეტისმეტად ხაზგასმით, რათა გააძლიეროთ რიტმი, შეინარჩუნოთ ბავშვის ყურადღება და დაეხმაროთ განავითაროს <u>სმენითი მეხსიერება</u>. ჩემსსახლს აქვს დიდი წინაკარი დასაკაკუნებლად.

მოსალოდნელი შედეგები

- ცდილობს გაიმეოროს 5-6 სიტყვა თითო გვერდიდან
- იყენებს თანდებულებს: -თვის

ძირითადი სტრატეგიები

მომიახლოვდი: წაახალისეთ ბავშვის მშობელი/აღმზრდელი, რაც შეიძლება ახლოს დაუჯდეს ბავშვს, რათა შეძლოთ მოთხრობის კითხვის მონიტორიგნი. წაიკითხეთ წიგნის ერთი ხაზი, შემდეგ დადგით წიგნი მშობლის/აღმზრდელის წინ, რომ მანაც წაიკითხოს, ხოლო შემდეგ მოატრიალეთ ბავშვისკენ, რომ მისცეთ სტიმული „წაიკითხოს“ გვერდი. თუ ბავშვს ნამდვილად შეუძლია სიტყვების წაკითხვა, მაშინ დამალეთ ტექსტი ისე, რომ ბავშვმა გაიმეოროს სიტყვები მხოლოდ მოსმენით.

დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ: დაიკავეთ წიგნი ბავშვის წინ და დაელოდეთ, სანამ ის ხმამაღლა წაიკითხავს. თუ ბავშვი ტოვებს სიტყვებს ან უშვებს გრამატიკულ შეცდომებს, შესთავაზეთ შესწორებული მოდელი და კვლავ დაელოდეთ, რათა ნახოთ, შეძლებს თუ არა ბავშვი უფრო ზუსტად გამეორებას.

მოსალოდნელი შედეგები

- უერთდება საუბარს საკუთარ სახლთან დაკავშირებით.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: წიგნის თითოეულ გვერდზე ისაუბრეთ იმაზე, გაქვთ თუ არა სახლის ეს ნაწილი. შეეკითხეთ ბავშვს და მის მშობელს/აღმზრდელს, აქვთ თუ არა სახლის ეს ნაწილი და თუ აქვთ, იყენებენ თუ არა მას ისე, როგორც წიგნშია აღწერილი. მე არ მაქვს დერეფანი. თქვენ გაქვთ გრძელი ვიწრო დერეფანი? შეგიძლია მანდ სირბილი? რა მოხდება მანდ რომ ირბინო?

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED EL

ჩემი სახლი

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

რეკომენდებული ქაღალდი: A4, 100 გრ

ჩემს სახლს აქვს



დიდი წინა კარი

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020



დასაკაკუნებლად.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ჩემს სახლს აქვს



გრძელი ვიწრო დერეფანი

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

სარბენად.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ჩემს სახლს აქვს



სამზარეულო, რომელიც სავსეა მბზინავი საგნებით,

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

რომელშიც მზადდება საჭმელი.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ჩემს სახლს აქვს

მაღალი ფანჯრები

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020



გასახედად.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ჩემს სახლს აქვს



ცხელი, მზიანი ბაღი

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020



მცენარეების გასაზრდელად.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ჩემს სახლში არის



მაგიდა წითელი სუფრით,

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020



რომელზეც ვჭამთ.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ჩემს სახლში არის



ძველი საკარძელი

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020



ერთად საკითხავად.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ჩემს სახლში არის

ჩემი საყვარელი დათვი,

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

რომელსაც ვეხუტები.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

და ჩემს სახლში არის

რბილი მყუდრო საწოლი

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

გასაძინებლად.



ღამე ღამე.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED-EL ოფისები მსოფლიოს მასშტაბით

ამერიკა

არგენტინა
medel@medel.com.ar

კანადა
officecanada@medel.com

კოლუმბია
office-colombia@medel.com

მექსიკა
office-mexico@medel.com

აშშ
implants@medelus.com

აზია - წყნარი ოკეანის რეგიონი

ავსტრალია
office@medel.com.au

ჩინეთი
office@medel.net.cn

ჰონგ კონგი
office@hk.medel.com

ინდოეთი
implants@medel.in

ინდონეზია
office@id.medel.com

იაპონია
office-japan@medel.com

მალაიზია
office@my.medel.com

ფილიპინები
office@ph.medel.com

სინგაპური
office@sg.medel.com

სამხრეთ კორეა
office@kr.medel.com

ტაილანდი
office@th.medel.com

ვიეტნამი
office@vn.medel.com

ევროპა, ახლო აღმოსავლეთი და აფრიკა

ავსტრია
office@at.medel.com

ბელგია
office@be.medel.com

ფინეთი
office@fi.medel.com

საფრანგეთი
office@fr.medel.com

გერმანია
office@medel.de

იტალია
ufficio.italia@medel.com

პორტუგალია
office@pt.medel.com

ესპანეთი
office@es.medel.com

სამხრეთ აფრიკა
customerserviceZA@medel.com

არაბეთის გაერთიანებული ემირატები
office@ae.medel.com

გაერთიანებული სამეფო
customerservices@medel.co.uk

M00101 1.0